



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

19 ივნისი 2024



N 311/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI-ის“ ორჯაჭვიანი 110 კვ ძაბვის 3.4 კმ სიგრძის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI-ის“ (ს.კ 404591394) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2023 წლის 31 ოქტომბერს (წერილი N10601) წარმოდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ორჯაჭვიანი 110 კვ ძაბვის 3.4 კმ სიგრძის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანება N631/ს; 13/11/2023) შექმნა და და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო ორგანიზაცია „გერგილის“ მიერ.

2023 წლის 1 მარტს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI-ის“ მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI-ის“ ორჯაჭვიანი 110 კვ ძაბვის 3.4 კმ სიგრძის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (ბრძანება N174/ს; 18/04/2023, სკოპინგის დასკვნა N6).

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N 21/1700), შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI-ის“ მიერ 2023 წლის 17 აპრილს წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილი N4020). კერძოდ, დაზუსტდა ეგბ-ის ბუფერიდან უახლოესი მანძილი დასახლებულ პუნქტთან და საპროექტო ტერიტორიის დაშორების მანძილი მდინარე ბაისურას ღელედან, აგრეთვე დაზუსტდა ტყეკავფის ფართობის, საპროექტო დერეფნის (ეგბ-ს ბუფერი) ფართობის შესახებ ინფორმაცია და საპროექტო ეგბ-ის დერეფნის სიგანე, სადაც გათვალისწინებულია ხე-მცენარეების ჭრა. წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია ფრინველთა დამაფრთხობლების ე.წ ჩიტამრიდების მოწყობის შესახებ, აგრეთვე, იმ ჰაბიტატების შესახებ, რომლებიც ხეების ჭრის შედეგად მოსალოდნელ ზემოქმედებას (განადგურება, დეგრადაცია, ფრაგმენტაცია) დაექვემდებარება. წარმოდგენილი იქნა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმა, სადაც

გათვალისწინებულია ფასკუნჯების, ასევე საპროექტო ტერიტორიაზე სხვა „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობების განსაკუთრებით მაღალი კონცენტრაციის გავრცელების ტერიტორიაზე მონიტორინგის საკითხები. აგრეთვე, წარმოდგენილ იქნა საპროექტო ტერიტორიაზე მდინარე ბახვისწყლის ჰიდროლოგიური მონაცემებისა და გურიის გეგმარებითი დაცული ტერიტორიების საკვლევი არეალის შესახებ ინფორმაცია. ზემოაღნიშნული საკითხები განხილულ იქნა საექსპერტო კომისიის მიერ (ბრძანება N211/ს 22/04/2024), დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზღვის დონიდან 1400-2018 მ ნიშნულებს შორის. დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს „ბახვი 1 ჰესის“ ქვესადგურის მიერთებას ელექტროსისტემის ქსელთან - ორჯაჭვიანი 110 კვ ძაბვის საჰაერო ეგზ-ს მეშვეობით. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, 110 კვ ძაბვის ეგზ-მ აგრეთვე უნდა გაატაროს ბახვი 2 ჰესის (ბახვი 2ა და ბახვი 2ბ) მიერ გამომუშავებული ელ.ენერგიაც. კერძოდ, „ბახვი 1 ჰესის“ ქვესადგური მიიღებს ელექტროენერგიას ბახვი 1 და ბახვი 2 (ბახვი 2ა და ბახვი 2ბ) ჰესებიდან, რომელიც საპროექტო ორჯაჭვიანი 110 კვ 3.4 კმ სიგრძის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით დაუკავშირდება ელექტროსისტემის ქსელს. მიერთების წერტილი იქნება საპროექტო 110 კვ ეგზ „ოზურგეთი-ზოტი“, რომელიც ჩაიჭრება და შესვლა-გასვლა მოხდება ორჯაჭვიანი ეგზ-ს მეშვეობით.

გზმ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. მათ შორის, განხილულია ეგზ-ის ტიპის და დერეფნის ალტერნატივები, ასევე არაქმედების ალტერნატივა. გარემოსდაცვითი, ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, შემოთავაზებული 3 ალტერნატიული ვარიანტიდან, უპირატესობა მიენიჭა ელექტროგადამცემი ხაზის განთავსების დერეფნის III ვარიანტს (3,4 კმ სიგრძის ეგზ-ის გაყვანა), ხოლო ეგზ-ის ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან უპირატესობა მიენიჭა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობას.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, პროექტით გათვალისწინებულია 15 ანძის მოწყობა, საპროექტო ტრასის სიგრძე იქნება 3,4 კმ, ხოლო სიგანე 40მ (დაცვის ზონის ბუფერი) . გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო საყრდენი ანძების ტექნიკური პარამეტრები, სქემატური ნახაზები და განთავსების ადგილის GPS კოორდინატები, მათ შორის - საპროექტო საყრდენების GPS კოორდინატებია: 1) X - 272413.3945 Y - 4639165.4795 2) X - 272507.3005; Y - 4639029.854 3) X - 272606.4775; Y - 4638917.0145 4) X - 272715.861; Y - 4638783.1435 5) X - 273008.395; Y 4638621.0325 6) X - 273262.462; Y - 4638703.284 7) X - 273438.42; Y - 4638667.376 8) X - 273585.931; Y - 4638364.8875 9) X - 273755.13; Y - 4638110.89 10) X - 273903.9165; Y - 4637976.0355 11) X - 274132.167; Y - 4637821.124 12) X - 274427.5175; Y - 4637773.8625 13) X - 274605.87; Y - 4637493.8625 14) X - 274746.7435; Y - 4637294.0015 15) X - 274818.4; Y - 4637231.26.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო 110კვ ძაბვის ეგზ-ის დაცვის ზონად გათვალისწინებულია 20 მეტრი მანძილი განაპირა სადენებიდან, ეგზ-ის ორივე მხარეს. საპროექტო ეგზ-ის ბუფერიდან (განაპირა სადენებიდან ორივე მხარეს 20 მეტრი) უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე (ბაისურას სეზონური დასახლება) მინიმალური მანძილი შეადგენს 67 მეტრს. ეგზ-ის დერეფნიდან უახლოეს ზედაპირული წყლის ობიექტებს წარმოადგენს მდ. ბახვისწყალი, რომელიც №1 ანძიდან დაშორებულია დაახლოებით 20 მეტრით და ბაისურას ღელე, რომელიც N15 ანძიდან მდებარეობს 92 მეტრის დაშორებით.

საპროექტო ორჯაჭვიანი 110 კვ. საჰაერო ეგზ დაიწყება „ბახვი 1 ჰესის“ 110 კვ ძაბვის საპროექტო ქვესადგურიდან. საპროექტო საყრდენი N1 ანძა განთავსდება ზღვის დონიდან 1400 მეტრ სიმაღლეზე, მდ. ბახვისწყალის მარცხენა ნაპირზე, მდინარიდან 20მ-ის დაშორებით, შემდეგ ეგზ-ის დერეფანი მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით (№1 - №5 საპროექტო საყრდენები) და შემდგომ აღმოსავლეთის მიმართულებით (№6 და №7 საპროექტო საყრდენები) და ადის სამხრეთ-აღმოსავლეთით ქედის თხემურ ნაწილისკენ №8 - №10 საყრდენებით. №11-№15 საყრდენებით ხაზი გასდევს აღნიშნული ქედის თხემს.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის საპროექტო უბანზე გათვალისწინებულია 15 ერთეული 110 კვ და 220 კვ (გარკვეულ წერტილებზე - რთული კლიმატური პირობებისა და საყრდენებზე დიდი მექანიკური დატვირთვების გათვალისწინებით) ორჯაჭვიანი ლითონის კუთხურ-ანკერული საყრდენების მოწყობა (8ც YC110-6 ტიპის; 2ც - Y110-2+9; 1ც - Y110-2+14; 1ც - Y220- 2+5 და 3ც Y220-2+9 ტიპის). ელექტროენერჯის გატარება მოხდება AC-240/56 მარკის ფოლად-ალუმინის სადენის გამოყენებით.

დაგეგმილი საქმიანობისთვის გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილი არ არის. მშენებლობისთვის საჭირო მასალების დასაწყობება და სამშენებლო ტექნიკის განლაგება მოხდება საპროექტო ეგზ-ს მიმდებარედ სპეციალურად გამოყოფილ სასაწყობო ტერიტორიაზე, (GPS კოორდინატები: X – 273585.95; Y – 4638019.65), რომელიც ბაისურას დასახლებიდან 840 მეტრის მანძილით არის დაშორებული. სამშენებლო მასალით მომარაგება, მოხდება ჰესის მშენებლობის ეტაპზე მოწყობილი ბეტონის კვანძიდან. სამშენებლო სამუშაოების ვადად განსაზღვრულია 7 თვე. სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში, 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით. პროექტის განხორციელების ეტაპზე დასაქმდება 35 ადამიანი.

სამშენებლო სამუშაოები ითვალისწინებს საპროექტო საყრდენი ანძების განთავსების ადგილებში ნიადაგის ნაყოფიერი ფენისა და გრუნტის მოხსნას/დასაწყობებას, საყრდენი ანძების მონტაჟისთვის ფუნდამენტების მოწყობას, საყრდენების მასალების ტრანსპორტირებას, რკინაბეტონის კონსტრუქციის მოწყობას, ანძების დამონტაჟებას და სადენების გაჭიმვას.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის პროცესში ანძების საპროექტო ტერიტორიამდე მისვლა (სამშენებლო მასალების მობილიზება) განხორციელდება არსებული მისასვლელი გზების გამოყენებით. საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელად გარკვეულ მონაკვეთზე (მაგ: ანძა N1-8) საჭირო იქნება მისასვლელი გზების მოწყობა. ასევე, სამშენებლო მოედნამდე მისასვლელად გამოყენებული იქნება არსებული სატყეო გზა სოფელ ვანისქედიდან. ანგარიშის თანახმად, მისასვლელი გზების ფართობი შეადგენს 11365 მ², ხოლო ჯამური სიგრძე 2318 მ-ს. ანგარიშის თანახმად, მშენებლობისათვის საჭირო მისასვლელი გზების მოწყობა მოხდება უმეტეს შემთხვევაში ეგზ-ს ბუფერის ფარგლებში.

საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარდება გრუნტის საექსკავაციო სამუშაოები, საერთო ჯამში იგეგმება დაახლოებით 5080 მ³ გრუნტის ამოღება, რომელიც დროებით დასაწყობდება სამუშაო მოედნის პერიმეტრზე შესაბამისი წესების დაცვით და შემდგომში ძირითადად გამოყენებული იქნება უკუყრისთვის, საძირკვლების სიცარიელების ამოსავსებად, ხოლო მცირე ნაწილი გამოყენებული იქნება მისასვლელი გზების კეთილმოწყობისთვის.

ანგარიშის თანახმად, წინასწარი პროგნოზით საერთო ჯამში პროექტის განხორციელების ეტაპზე მოსახსნელი იქნება 2887 მ³ ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, რომელიც ცალ-ცალკე ზვინულებად დასაწყობდება სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე (ძირითადად საპროექტო ანძების მიმდებარედ). მშენებლობის დასრულების შემდგომ დასაწყობებული ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება

დაზიანებული უბნების აღდგენა/რეკულტივაციის სამუშაოებისთვის. სარეკულტივაციო სამუშაოები განხორციელდება “ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების მიხედვით. რეკულტივაციას ექვემდებარება ანძების საძირკვლებისა და სხვა ტერიტორიები, რომელთა ფართობი შეადგენს 6302 მ²-ს.

დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მდინარე ბახვისწყლის ჰიდროლოგიური მონაცემები, კერძოდ, წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მდინარე ბახვისწყლის წყალშემკრები აუზის ფართობი შეადგენს 89 კმ²-ს, აუზის საშუალო სიმაღლე კი 1195 მეტრია. მდინარეს ერთვის სხვადასხვა რიგის ხევები - მდ. ფაფარა, მდ. ჭიდილასხევი და სხვა, საერთო სიგრძით 46 კმ. წარმოდგენილია ასევე, მდინარე ბახვისწყლის შენაკადი ხევები, რომლებიც კვეთს ელექტროგადამცემი ხაზის ბუფერს, წყლის მაქსიმალური ხარჯები. როგორც აღინიშნა, საპროექტო ეგზ-ს დერეფანი იწყება „ბახვი 1 ჰესი“-ს 110 კვ ძაბვის საპროექტო ქვესადგურიდან. საყრდენი №1 ანძა განთავსდება მდ. ბახვისწყლის მარცხენა ნაპირზე, მდინარიდან 20 მ-ის დაშორებით. ქვესადგურთან მდინარის კალაპოტის ბუნებრივი ნიშნული 1395 მ-ია, ხოლო N1 ანძის განთავსების ნიშნული 1404 მ. ქვესადგურის დაცვისათვის მოეწყობა საყრდენი კედელი და მოხდება ნაყარი მასით შევსება და დატკეპნა. N15 ანძა განთავსდება ზ.დ. 1846 მ-ს სიმაღლეზე მდ. ბაისურას ღელედან მარცხენა ნაპირზე (92 მეტრის დაშორებით). ანძების განთავსების სიმაღლეთა სხვაობისა და დაშორების გათვალისწინებით, მდინარის აქტიურ კალაპოტში ელექტროგადამცემი ანძების განთავსება დაგეგმილი არ არის.

სამუშაოების წარმოების პროცესში საწვავის მარაგის შექმნის მიზნით რეზერვუარების მოწყობა არ იგეგმება, ასევე, საყრდენების საძირკვლის მოწყობის დროს არ არის გათვალისწინებული ნავთობპროდუქტების გამოყენება. შესაბამისად, როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის პერიოდში, სამუშაოების სწორი მართვის შემთხვევაში, ზედაპირული წყლის ობიექტის და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკი არ არსებობს.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ეგზ-ის სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესში საჭირო იქნება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის გამოყენება, რომელიც სამშენებლო მოედანზე შემოტანილი იქნება წყლის რეზერვუარის მეშვეობით ან ბუტილიზირებული სახით. პროექტის მიხედვით ტექნიკური დანიშნულებით წყლის გამოყენება გათვალისწინებული არ არის. რაც შეეხება სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვას, დროებით მოეწყობა ბიოტუალეტები, რომელთა დაცლა მოხდება პერიოდულად შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე. პროექტის მშენებლობის ეტაპზე სანიაღვრე წყლების წარმოქმნას ადგილი ექნება ატმოსფერული ნალექების მოსვლის პერიოდში ნიადაგის ნაყოფიერი ფენის განთავსების ადგილებზე. დასაწყობებული ნიადაგის სიმაღლე არ აღემატება 2-2.5 მეტრს, ხოლო ფერდის დახრილობა 45⁰-ს. დასაწყობებული ნიადაგი დაცული იქნება გადარეცხვისაგან, კერძოდ ნაყოფიერი ფენის განთავსების პერიმეტრზე ჭარბი წყლის მოსაცილებლად მოეწყობა გრუნტის სადრენაჟე არხის სისტემა.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად ყველაზე უარესი სცენარის მიხედვით შესრულებული გაანგარიშების თანახმად (როცა ყველა სამშენებლო ტექნიკა - თვითმცლელი, ბულდოზერი, ამწე-მექანიზმები ერთდროულად მუშაობს), ხმაურის მოსალოდნელი ჯამური დონე მანქანა-დანადგარების უშუალო სიახლოვეში არ აღემატება 94,6 დბა-ს. უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი ხმაურის წარმომქმნელი სამუშაოები განხორციელდება ანძების მშენებლობის წერტილებში, დღის საათებში. დოკუმენტის თანახმად, ჩატარებული გაანგარიშებების მიხედვით უახლოეს მოსახლესთან მოსალოდნელი ხმაურის დონეები არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ელექტროგადამცემი ხაზების ოპერირების ეტაპზე ხმაურის გამომწვევი შეიძლება იყოს მცირე მასშტაბის მქონე, ეგზ-ს პერიოდული ტექ-მომსახურების სამუშაოები.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებების სტაციონალური წყაროების გამოყენება არ არის გათვალისწინებული, ვინაიდან სამშენებლო მასალები საპროექტო ტერიტორიაზე მზა სახით შემოვა. მშენებლობის ეტაპზე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების მთავარი წყაროები იქნება სამშენებლო ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები. სამშენებლო ტექნიკის მრავლების მუშაობისას ადგილი ექნება მცირე რაოდენობით წვის პროდუქტების ემისიებს, ხოლო გრუნტიან გზებზე გადაადგილებისას არაორგანული მტვრის გავრცელებას. ეგხ-ს ექსპლუატაციის ეტაპზე, კერძოდ სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოების პროცესში, მავნე ნივთიერებათა ემისიების რაოდენობა იქნება უმნიშვნელო. მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიებისა და ხმაურის დონეების მინიმიზაციის მიზნით გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება ასევე არ არის მოსალოდნელი ელექტრომაგნიტური ველების გავრცელების კუთხით, ამასთან დაცული იქნება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები“ დადგენილი მანძილები, ხოლო ფიზიკური განსახლების ან სხვა სახის პრევენციული ღონისძიებების გატარების საჭიროება არ დგას.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე 2023 წლის ივლისში ჩატარდა გეობოტანიკური კვლევა (Braun-Blanquet). საკვლევ არეალზე ტერიტორია შეფასდა მთლიანი ბუფერული ზონის ფარგლებში. თითოეული ჰაბიტატისთვის გამოვლინდა და დადგინდა მათი შესაბამისი პროექციული დაფარულობა და საშუალო სიმაღლე. საკვლევ არეალზე ჩატარდა ტაქსაცია, დაფიქსირებული წითელი ნუსხის და მაღალ საკონსერვაციო ღირებულების მცენარეული სახეობებისთვის შეიქმნა ცალკე სიები, სადაც ასახულია მათი ზუსტი კოორდინატები, დიამეტრები, სიმაღლეები, რაოდენობები და ა.შ. ტყის დომინანტი სახეობაა ჩვეულებრივი მურყანი (*Alnus barbata*). მასთან ერთად მცირე პოპულაციის სახით გავრცელებულია თელადუმა (*Ulmus elliptica*), რომელსაც საქართველოს წითელი ნუსხის მიხედვით საფრთხესთან მიახლოებული კატეგორია აქვს მინიჭებული (NT). საპროექტო არეალზე ყველაზე დიდი ტერიტორია უკავია წიფლნარ (*Fagus orientalis*) ტყის შქერის (*Rhododendron ponticum*) ქვეტყით, რომელიც საპროექტო არეალის მთის ჩრდილოეთ ფერდობის გარკვეულ ნაწილს მოიცავს. ანგარიშის თანახმად საქართველოს წითელი ნუსხის სახეობების გარემოდან ამოღება მოხდება „საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის საზღვრების მიხედვით, ეგხ-ის ბუფერიდან 112822 კვ.მ მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში. კერძოდ, ოზურგეთის სატყეო უბნის მთისპირის სატყეოში, კვარტალი N20 და N21. გზშ ანგარიშის თანახმად, ვინაიდან საპროექტო არეალი მოიცავს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს, განხორციელდება განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური ტყითსარგებლობის უფლების მოპოვება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ეგხ-ს ბუფერში ხე-მცენარეების ჭრა სრულად არ განხორციელდება. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით საპროექტო არეალში, ტაქსაციის ფარგლებში 88 888 მ²-ზე აღრიცხული იქნა 1929 ხე, ჯამური მოცულობით 2839.9 მ³. როგორც ანგარიშშია აღნიშნული, გარემოდან ამოღებული ხე-ტყის მოცულობა დაზუსტდება სატყეო სააგენტოსთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცნობით დადგინდა, რომ წარმოდგენილი მონაკვეთი არ მდებარეობს დაცული ტერიტორიის საზღვრებში. ამასთანავე, წარმოდგენილ საპროექტო არეალს ესაზღვრება გურიის ეროვნული პარკის გეგმარებითი ტერიტორია.

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის ეტაპზე ცხოველებზე მოსალოდნელია პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედება. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ზემოქმედება მოსალოდნელია ისეთ ძუძუმწოვარზე, როგორც არის: ტყის კატა (*Felis silvestris*) და წავი (*Lutra lutra*). საკვლევ ტერიტორიაზე დაფიქსირდა ფრინველთა შემდეგი სახეობები: მწყერი (*Coturnix coturnix*), ჩია არწივი (*Aquila pennatus*), ჩვ. კაკაჩა (*Buteo buteo*), მიმინო (*Accipiter nisus*), ქორი (*Accipiter gentilis*) და სხვა. „საქართველოს წითელი ნუსხაში“ შესული ფრინველებიდან ბუკიოტის (*Aegolius funereus*) გარდა დაფიქსირდა კიდევ შვიდი სახეობა: ორბი (*Gyps fulvus*), ფასკუნჯი (*Neophron percnopterus*), მთის არწივი (*Aquila chrysaetos*) და სხვა. ყველას მინიჭებული აქვს კატეგორია „მოწყვლადი“ (VU). გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზაზე, მიღებული უზნის ტერიტორიაზე არსებულ ფლორისა და ფაუნის სახეობებზე მოსალოდნელია გარკვეული სახის ზემოქმედება, რაზეც გატარდება გზშ-ის დოკუმენტში წარმოდგენილი შემარბილებელი ღონისძიებები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ტერიტორია გეოლოგიურად აგებულია პალეოგენური და მეოთხეული ნალექებით. პალეოგენი წარმოდგენილია ტუფოგენური და ფლიშური ნალექებით, მეოთხეული ნალექები გავრცელებულია ყველგან, ფერდობებზე დელუვიურ-პროლუვიური შლიეფების სახით, ხოლო მდინარეთა კალაპოტსა და ჭალებსა და ტერასებზე ალუვიური ნალექებით, რომლებიც წარმოდგენილია მსხვილნატეხოვანი გრუნტით. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საკვლევ უბანი განეკუთვნება 8 ბალიან სეისმური საშიშროების ზონას, ხოლო უზნის ამგები გრუნტები, სეისმური თვისებებიდან გამომდინარე, განეკუთვნებიან II კატეგორიას. თუმცა, გეომორფოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულიდან გამომდინარე სამშენებლო მოედანი მთლიანობაში განსაზღვრულია როგორც III (რთული) კატეგორია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საყრდენების დაფუძნების პირობების დადგენის მიზნით, ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები. საველე პირობებში გაყვანილ იქნა 15 ჭაბურღილი. საძირკვლის დაფუძნების სიღრმეზე გამოიყო ოთხი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი სგე I-თიხნარი გრუნტი მყარი და ნახევრად მყარი კოსისტენციით; სგე II - ლორღოვანი გრუნტი, ლოდნარის ჩანართებით და თიხნარის შემავსებლით; სგე III - ლოდნარი გრუნტი ღორღით და თიხნარის შემავსებლით და სგე IV-გამოფიტული და სუსტად გამოფიტული ტუფოქვიშაქვები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საყრდენების დაფუძნების და მის მიმდებარე ტერიტორიებზე საშიში გეოდინამიური პროცესების გავრცელების კვალი არ ფიქსირდება, უბანი მდგრადია და მშენებლობისათვის მისაღებია. ასევე, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საკვლევ ტერიტორიაზე ჩატარებული გეოტექნიკური კვლევებით დადგინდა, რომ თანამედროვე საშიში გეოლოგიური პროცესები (მეწყერი, ეროზია, ღვარცოფი) არ ფიქსირდება და საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნით გათვალისწინებული რეკომენდაციების გატარების შემთხვევაში, მშენებლობის ეტაპზე მნიშვნელოვანი გართულებები მოსალოდნელი არ არის.

გზშ-ის ანგარიშს თან ახლავს ნარჩენების მართვის გეგმა, რომლის მიხედვით, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე მოსალოდნელია როგორც სახიფათო (საღებავების ტარა და სხვა), ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების შემდგომი მართვა განხორციელდება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციების მიერ. საჭიროების შემთხვევაში სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობება მოხდება ბაზვი 1 და ბაზვი 2 ჰესების ქვესადგურების ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილ უბანზე. მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების და მცირე რაოდენობით არასახიფათო შესაფუთი მასალების შეგროვებისთვის გამოყენებული იქნება კონტეინერები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების არსებობა არ ფიქსირდება. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ეგზ-ს ბუფერულ ზონაში არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლები და ის არ ექცევა ძეგლების ინდივიდუალურ დამცავ ზონაში. წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ასევე არ ფიქსირდება არქეოლოგიური ობიექტები. ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიწის სამუშაოების განხორციელების პროცესში კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეწყდება სამუშაოები და ეცნობება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2023 წლის 14 დეკემბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ მთისპირის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, საქმიანობის განმახორციელებელი შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის, საკონსულტაციო კომპანია შპს „გერგილის“, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. საჯარო განხილვის დროს ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან დასმული შეკითხვები ეხებოდა საპროექტო ეგზ-ს გავრცელების არეალის დაზუსტებას, პერსონალისთვის სამშენებლო ბანაკის მოწყობის საკითხს. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების შეკითხვა ასევე შეეხებოდა მთაგორიანი რეგიონის პირობებში საშიშ გეოდინამიკურ პროცესებს და მათ გამოკვლევას. საჯარო განხილვის მსვლელობისას გამოთქმული შეკითხვები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზმ-ის ანგარიშს თან ახლავს საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

გზმ-ის ანგარიშში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI-ის“ ორჯაჭვიანი 110 კვ ძაბვის 3.4 კმ სიგრძის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე;

2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI-მა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების, შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. ასევე, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;
4. შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-მა მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს განახლებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის კუთხით განსახორციელებელი ქმედებების სააგენტოსთან ანგარიშგების პერიოდულობის საკითხი. ასევე, მონიტორინგის გეგმაში ექსპლუატაციის ეტაპისთვის აისახოს შემარბილებელი ღონისძიებების (განსაკუთრებით ფრინველთა დამაფრთხობლების - ე.წ. ჩიტამრიდების) ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხი, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით;
5. შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-მა მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს წინასამშენებლო კვლევის შედეგების შესახებ დეტალური ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა. კვლევის ფარგლებში საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს იმ ცხოველებზე, მათ შორის ფრინველებზე და ხელფრთიანებზე, ასევე ჰაბიტატებზე, რომლებიც უშუალოდ დაგეგმილი საქმიანობის არეალში მოექცევა. წინასამშენებლო კვლევის შედეგების მიხედვით საჭიროების შემთხვევაში განისაზღვროს დამატებითი შემარბილებელი ან/და საკომპენსაციო ღონისძიებები;
6. შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI-მა“ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, ნებისმიერი ქმედება განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმებით;
7. შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI-მა“ ნარჩენების მართვა უზრუნველყოს „ნარჩენების მართვის კოდექსითა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;
8. შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI-მა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს იმგვარად, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი გეგმარებით დაცულ ტერიტორიებზე უარყოფითი ზემოქმედება;
9. შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI-მა“ უზრუნველყოს, საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისი ანძებისთვის დამცავი ღონისძიების შემუშავება და სააგენტოში კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოდგენა;
10. შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI-მა“ სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა;
11. შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI-მა“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის N348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;
12. შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI-მა“ მშენებლობის დაწყებისა და დამთავრების, ასევე ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;

13. შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI-მა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
14. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI-ს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
15. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI-ს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
16. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

